ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში

საკრებულოს წევრის სახელი, გვარი - დავით სამსონიძე

თანამდებობის დასახელება - საკრებულოს ფრაქციის ,,ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო" - თავმჯდომარე

ფრაქციის სხდომების რაოდენობა - 3 დასწრება - 3

არჩევის წესი (მაჟორიტარული ოლქის მითითებით) -მაჟორიტარი - 37.01 უბანზე

კომისიები

საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია - კომისიის სხდომების რაოდენობა - 3 დასწრება - 3

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია - კომისიის რაოდენობა - 5 - დასწრება - 5

საკრებულოს სხდომების რაოდენობა - 17, დასწრება -17

ახალციხის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს წევრი

სისტემატიურად ვესწრები საკრებულოს სხდომებს, გამოვყოფ მნიშვნელოვან მხარდაჭერილ საკითხებს:

- საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ახალციხის მუნიციპალიტეტში 2026 წელს დასაფინანსებელი პროექტების დაფინანსების მიზნით მომზადებული წინადადების მოწონების თაობაზე
- მაღალმთიან დასახლებებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, ახალციხის მუნიციპალიტეტში 2026 წელს, დასაფინანსებელი პროექტების დაფინანსების მიზნით მომზადებული წინადადების მოწონების თაობაზე
- ახალციხის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ (და ახალციხის მუნიციპალიტეტის 2026-2029 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის განხილვის შესახებ)
- ,,ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, რომელიც არ არის საკრებულოს თანამდებობის პირი, უფლებამოსილების განხორციელების მიზნით გაწეული ხარჯების ანაზღაურების წესის შესახებ" ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 1 დეკემბრის №16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

- ახალციხის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ
- ახალციხის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული წარმატებული სპორტსმენების, მათი მწვრთნელებისა და სპორტის სხვადასხვა სახეობაში გამარჯვებული გუნდების, მუსიკისა და ხელოვნების დარგში წარმატებული მოსწავლეების, მათი პედაგოგებისა და მუსიკალური გუნდების 2026 წლის ფინანსური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე
- „ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და ყოლის წესის დამტკიცების შესახებ“
- ახალციხის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის ქვეპროგრამის ,,ახალციხის მერის სტიპენდიები წარჩინებულ სტუდენტებს'' ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებებიდან წარჩინებული სტუდენტებისთვის ახალციხის მერის სტიპენდიის გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე
- ახალციხის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ
- ახალციხის მუნიციპალიტეტის პერსონალური ასისტენტის სერვისის პროგრამის დამტკიცების შესახებ
- ახალციხის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ

მოქალაქეებთან შეხვედრები და რეაგირების ფორმები(მათ შორის, დადებითად გადაწყვეტილი კონკრეტული საკითხები)

მოქალაქეებთან შეხვედრები მაქვს ყოველდღიურად, ასევე გასვლითი შეხვედრები ჩემს მაჟორიტარულ ოლქში, მათი მომართვიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე ხდება დახმარება, ან შუამდგომლობის გაწევა შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან (ძირითადად გამოხატული საკითხებია - სოციალური, ჯანდაცვის, და ინფრასტრუქტურული პრობლემები, ასევე ხდება ყოფითი საჭიროებების განხილვა და დახმარების გაწევა).

- ქ. ახალციხეში, ალ. ყაზბეგის ქუჩაზე (რაბათის უბანი), მინი სტადიონის რეაბილიტაცია (დასრულდა) და სპორტული სავარჯიშო ტრენაჟორების მოწყობა;
- მ. თამარაშვილის ქუჩის #41 და 41ა კორპუსის მიმდებარედ მინი სტადიონის რეაბილიტაცია (დასრულდა), საკანალიზაციო ქსელის მოწყობა-მოწესრიგება (დასრულდა) და სპორტული სავარჯიშო ტრენაჟორების მოწყობა;
- მ. თამარაშვილის ჩიხში ცენტრალური საკანალიზაციო მილის ნაწილობრივ შეცვლა-მოწესრიგება (შუამდგომლობა გაეწია გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიასთან და დასრულდა);
- მ. თამარაშვილის ქუჩაზე სკვერების მოწყობა (მიმდინარეობს);

- მ. თამარაშვილის #41ა კორპუსის შიდა სადარბაზოების მოწყობა-მოწესრიგება (დასრულდა);
- გრ. ხანძთელის ქუჩა #32 კორპუსის ფასადის შეკეთება და შიდა სადარბაზოების მოწყობა (დასრულდა);
- ივანე ახალციხელი ქუჩაზე ორი სავარჯიშო ტრენაჟორის მოწყობა (დასრულდა) და ერთ-ერთ ჩიხში სავალი გზის მოხრეშვა (დასრულდა სერვის ჯგუფის მიერ);
- მიქუტიშვილის ქუჩაზე (სანაპირო) დაზიანებული ცხაურის შეკეთება (დასრულდა);
- მესხეთის ქუჩის მოსახლეობის მოთხოვნა მინი სტადიონის და სკვერის მოწყობაზე (საპროექტო სამუშაოები დასრულებულია).

- მოქალაქეებთან შეხვედრებისას მიღებულ ინფორმაციას ვიყენებ მოსახლეობის საჭიროებების უკეთ შესწავლისა და შესაბამისი საკითხების შემდგომი განხილვის მიზნით. განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობ თითოეული პრობლემის შინაარსობრივ შესწავლას და კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში, შესაბამისი ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობას.

შევსების თარიღი 22.10.2026

წარდგენის თარიღი 30.10.2026

ხელის მოწერა